ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას”

მოსწავლეთა თვითმმართველობის

2024-2025 სასწავლო წლის ანგარიში

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“ მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილ 2024-2025 სასწავლო წლის ანგარიშში თავმოყრილია იმ აქტივობების ჩამონათვალი და აღწერა, რომლებიც განახორციელა სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობამ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. აღნიშნული ანგარიში ასახავს არა მხოლოდ ჩატარებულ ღონისძიებებს, არამედ იმ ძალისხმევასა და ერთიანობას, რომელიც გუნდის ყველა წევრმა ერთად გამოიჩინა.

1.თვითმმართველობის როლი და მისია

მოსწავლეთა თვითმმართველობა წარმოადგენს სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც იქმნება მოსწავლეების მიერ, მოსწავლეებისთვის. იგი ემყარება დემოკრატიული პრინციპებით მოქმედი მმართველობის მოდელს და მიზნად ისახავს მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით სკოლაში ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც დაეხმარება მათ პიროვნულ განვითარებაში, გუნდურობაზე დაფუძნებულ საქმიანობაში და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაღრმავებაში.

თვითმმართველობის ძირითადი ამოცანებია:

- **მოსწავლეთა ინტერესების დაცვა და მათ შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა;**
- **სკოლაში მეგობრული და უსაფრთხო ატმოსფეროს შექმნა;**
- **კულტურული,საგანმანათლებლო,შემოქმედებითი და სოციალური აქტივობების ორგანიზება;**
- **მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივება სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში.**

2024-2025 სასწავლო წელს თვითმმართველობის მუშაობის ძირითადი პრიორიტეტი იყო მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვა, რომელთა მიზანი გახლდათ მოსწავლეთა ჩართულობისა და მოტივაციის ამაღლება. ჩვენ ვეცადეთ , შეგვექმნა ისეთი სივრცე, სადაც თითოეულ მოსწავლეს ექნებოდა შესაძლებლობა, აქტიურად ჩართულიყო სკოლის ცხოვრებაში, გამოეხატა საკუთარი იდეები და ემოქმედა პოზიტიური ცვლილებებისათვის.

თვითმმართველობის შემადგენლობა -

2024-2025 სასწავლო წელი

თავმჯდომარე: ბარბარე შავიშვილი

მოადგილე: თაზო ბენდიანიშვილი

სპორტული კლუბის კოორდინატორი: თაზო ბენდიანიშვილი

დაწყებითი კლასების კოორდინატორი: ნუცა პატარქალაშვილი

მე-8-1 კლასი : ნუცა ფიცხელაური ,ნინო ხუციშვილი ,მარიამ ჩიმახიძე .

მე-8-2 კლასი : მაშო ვარძიელი ,ნუცა ფანცულაია, ექვთიმე თაყაიშვილი .

მე-9-1 კლასი : ანი გორდეზიანი, დემეტრე შარაშენიძე, დათა ზარიძე.

მე-9-2 კლასი : გუგა გულბანი , ნიკოლოზ მეტრეველი , შაკო გამცემლიძე .

მე- 10 კლასი : თაზო ბენდიანიშვილი, ირაკლი კემულარია,დავით მარჯანიძე .

მე- 11 კლასი : თეკლა ბენდიანიშვილი ,ნუცა პატარქალაშვილი, ბარბარე შავიშვილი .

სარედაქციო კოლეგიის წევრები :

თაზო ბენდიანიშვილი ;თეკლა ბენდიანიშვილი ;ანი გორდეზიანი ; ნუცა პატარქალაშვილი

ნუცა ფანცულაია ;ნუცა ფიცხელაური ;ელენე შენგელია ;ლაშა ცხელიშვილი

ნინო შავიშვილი ;ბარბარე შავიშვილი

2.ციფრული კომუნიკაცია და გამჭვირვალობა

2024-2025 სასწავლო წელს თვითმმართველობის საქმიანობის ფარგლებში განხორციელდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი – შეიქმნა მოსწავლეთა თვითმმართველობის ოფიციალური Facebook გვერდი, რომელიც ემსახურება საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციის დამყარებას, ღონისძიებების პოპულარიზაციასა და გამჭვირვალე საქმიანობის წარმოჩენას.

გვერდი სრულად იმართება თვითმმართველობის მიერ შექმნილი სარედაქციო ჯგუფის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია კონტენტის მომზადებასა და გამოქვეყნებაზე. სწორედ ამ სივრცეში თავსდება ყველა ის პროექტი და აქტივობა, რომელსაც თვითმმართველობა სკოლაში ახორციელებს – იქნება ეს ფოტო/ვიდეო მასალა, ღონისძიებების ანონსები თუ შემაჯამებელი პოსტები.

აღნიშნული პლატფორმა არა მხოლოდ ინფორმაციულ-საგანმანათლებლო დატვირთვას ატარებს, არამედ წარმოადგენს მოსწავლეთა ჩართულობისა და კრეატიულობის გამოვლენის შესაძლებლობას. ეს ინიციატივა ხელს უწყობს როგორც სკოლის შიდა აუდიტორიასთან კავშირის გაღრმავებას, ისე სკოლის პოზიტიური იმიჯის გავრცელებას საზოგადოებაში.



იხილეთ Facebook გვერდი: https://www.facebook.com/brit.anik.as.mosts.avleta.tvitmmartveloba

3.მოსწავლეთა თვითმმართველობის კალენდარი

1.საახალწლო კარნავალი - 28 დეკემბერი

2.წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე (ვიდეორგოლი)-2 თებერვალი

3.საბჭოთა ოკუპაციის დღე-25 თებერვალი

4.სტუმარი ლევან ღამბაშიძე (მკითხველთა კლუბი)- 19 თებერვალი

5.მათემატიკის კვირეული-10 -14 მარტი

6.ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში (სპორტული კლუბი) – 11 აპრილი

7.ქართული ენის კვირეული- 14-21 აპრილი

8..ეკოლოგიური პროექტი ,,დედამიწა ჩვენი სახლია“-28 აპრილი-10 მაისი

9.გასვლითი სპორტული ღონისძიება ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი ჩვენი არჩევანია“-7 მაისი

10.წლის შემაჯამებელი გასვლა- 19 ივნისი

3.1 საახალწლო კარნავალი - 28 დეკემბერი

□□□□□□□□□□ □□□□□□□□□ , □□□□□□□□□ □□□□ □□□□□□□□□□□□, □□□□□□□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□ □□□□□□□□ □□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□□ , □□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□. □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□

□□□□□□□□□ □□ □□□□□□□□□□ □□□□□□□□

□□□□□□□□ □□□□□□, □□□□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□ „□□□□□□□ □□□□□“ □□ □□□□□□□□□□ □□□□□ , □□□□□□□□ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□.

□□□□□□ □□□□□□□□□□□: https://www.youtube.com/watch?v=gLN8vXuPgqI

[illegible], [illegible] [illegible], [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] „[illegible]“ – [illegible] [illegible] [illegible] [illegible] (

[illegible], 60-[illegible], 80-[illegible], 2000-[illegible] [illegible] [illegible]), [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

3.2 წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე (ვიდეორგოლი)- 2 თებერვალი

წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღის აღსაღნიშნავად, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობამ მოამზადა ვიდეორგოლი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კლასის (VI,VIII,IX,X,XI,XII) მოსწავლეებმა (სულ 19).

ვიდეოში მოსწავლეებმა ხმამაღლა წაიკითხეს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის ,,ვეფხისტყაოსნის" სტრიქონები.

აქტივობის მიზანი იყო:

-კითხვის კულტურის პოპულარიზაცია;

-ეროვნული ლიტერატურისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გამოჩენა;

-მოსწავლეთა თვითგამოხატვისა და საჯარო მეტყველების უნარების გაუმჯობესება.

ვიდეორგოლი გამოქვეყნდა სკოლის ოფიციალურ Youtube და მოსწავლეთა თვითმმართველობის Facebook გვერდებზე და დაიმსახურა დადებითი გამოხმაურება.

იხილეთ ვიდეორგოლი: https://www.youtube.com/watch?v=DeUd8VQ0W5U



3.3 საბჭოთა ოკუპაციის დღე- 25 თებერვალი

ამ დღესთან დაკავშირებით , მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით , მოსწავლეებმა წარადგინეს პრეზენტაციები საბჭოთა ოკუპაციის თემის გარშემო:

-რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI-XIX საუკუნეებში- ნინო შავიშვილი , თამარ ბუთხაშვილი, ნიკოლოზ ბერიანიძე , სანდრო პაპიაშვილი. (IX-2 კლასი)

-25 თებერვალი საქართველოს ოკუპაციის დღე- თამაზ ბენდიანიშვილი , გიორგი ანთაძე, გიორგი სახვაძე, კესარია ახობაძე. (X კლასი)

-მარო მაყაშვილი- ლალიკო გოგაშვილი და დეა ბლიაძე. (X კლასი)

-რეპრესირებული მწერლები - თეკლა ბენდიანიშვილი,ნუცა პატარქალაშვილი, ბარბარე შავიშვილი.(XI კლასი)

-ნიკო სულხანიშვილის ისტორია - ანასტასია ზაკალაშვილი. (IX-2 კლასი)

-კონსერვატორიის უცნობი ისტორია და ,,დაისი" ოკუპაციის კონტექსტში- თამარ ბუთხაშვილი და ნინო შავიშვილი. (IX-2 კლასი)

ანდრია ბალანჩივაძის ამბავი და ევგენი მიქელაძის ისტორია - პაპუნა ბაბულაშვილი და სანდრო პაპიაშვილი. (IX-2 კლასი)

სანდრო ახმეტელი და პეტრე ოცხელი - ნუცა ფანცულაია, ექვთიმე თაყაიშვილი , იოანე თეთრუაშვილი , ბარბარე ომანიძე, კესარია ოღაძე. (VIII-1 კლასი)

დიმიტრი შევარდნაძე და კირილ ზდანევიჩი- ანანო შიუკაშვილი , მარიამ ჩიმახიძე , ნუცა ფიცხელაური , ვიკა ესვანჯია.(VIII-2 კლასი)

ჩვენი მთავარი მიზანი ქვეყნის ისტორიის უკეთ გაცნობა და სიღრმისეულად გააზრება იყო.

ამასთან ერთად მოსწავლეები დაეუფლებიან და განავითარებენ საჯარო გამოსვლის ხელოვნებას. ეს არის მნიშვნელოვანი უნარი პირადი თუ კარიერული წარმატებისთვის.

3.4 სტუმარი ლევან ღამბაშიძე- 28 თებერვალი

მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეები, თვითმმართველობის ორგანიზებით, შეხვდნენ **ფილოსოფოს ლევან ღამბაშიძეს.**

ლევან ღამბაშიძემ ისაუბრა ტოტალიტარული რეჟიმის არსსა და მის გავლენაზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტოტალიტარიზმის თემას ლიტერატურაში და ლიტერატურის როლს რეჟიმის მხილებაში. განვიხილეთ ისეთი ნაწარმოები , რომლებიც ასახავენ ამ რეჟიმის დამახასიათებელ ნიშნებსა და საფრთხეებს:

ჯორჯ ორუელის ,, 1984” არტურ კოესტლერის ,, მზის დაბნელება” აკაკი ბაქრაძის ,, მწერლობის მოთვინიერება”

მოსწავლეები ეტაპობრივად ერთვებოდნენ დისკუსიაში , გამოთქვამდნენ მოსაზრებებს და სვამდნენ კითხვებს.

იხილეთ შეხვედრის სრული ჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=CPJecIfmzKk

3.5 მათემატიკის კვირეული - 10-14 მარტი

14 მარტი პი რიცხვის საერთაშორისო დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და მათემატიკის კათედრის ორგანიზებით, გაიმართა მათემატიკის კვირეული.
კვირეულის ფარგლებში საგაკვეთილო პროცესი დაეთმო საინტერესო პრეზენტაციების წარდგენას მათემათიკის თემის გარშემო.

აქტივობების მიზანი იყო მათემატიკისადმი ინტერესის გაღვივება, გუნდური მუშაობისა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლის წახალისება.



3.6 ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში - 11 აპრილი

2025 წლის 11 აპრილს, ქართულ-ინგლისურ სკოლა „ბრიტანიკაში“, მოსწავლეთა თვითმმართველობის სპორტული კლუბის ინიციატივით და სპორტის მასწავლებლის მხარდაჭერით, გაიმართა ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს VIII-XI კლასის მოსწავლეებმა. ჩემპიონატი ჩატარდა ენერგიულ, მეგობრულ და ჯანსაღად კონკურენტულ გარემოში, სადაც მოსწავლეებმა თავი გამოიჩინეს როგორც სპორტული უნარებით, ისე დისციპლინითა და გუნდური თამაშის კულტურით

3.7 ქართული ენის კვირეული - 14-21 აპრილი

ქართულ-ინგლისურ სკოლა „ბრიტანიკაში“ აპრილის თვეში ჩატარდა ქართული ენის კვირეული, რომლის მიზანი იყო ქართული ენის, ლიტერატურისა და კულტურული ღირებულებების პოპულარიზაცია სკოლაში.

კვირეულის ფარგლებში გაიმართა რამდენიმე საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ღონისძიება, მათ შორის:

წიგნის ჩუქების დღე – VIII-XI კლასის მოსწავლეები ეწვივნენ წიგნის ფესტივალს, სადაც შეარჩიეს ქართველი ავტორების ნაწარმოებები და შემდეგ ერთმანეთს საჩუქრად გადაეცნენ.

ვიდეორგოლი **„არა ბარბარიზმებს“** – მოსწავლეთა მონაწილეობით მომზადდა ვიდეორგოლი, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ენის სიწმინდისა და კულტურული თვითშეგნების გაძლიერებას თანამედროვე ახალგაზრდებში.

კალიგრაფიის კონკურსი – კვირეულის ერთ-ერთი ყველაზე ესთეტიკური აქტივობა იყო კალიგრაფიის კონკურსი, რომელშიც მოსწავლეებმა წარადგინეს საკუთარ ხელით გაფორმებული ლიტერატურული ფრაზები და სტროფები, გამორჩეული ხელწერითა და გემოვნებით.

3.8 ეკოლოგიური პროექტი „დედამიწა ჩვენი სახლია“ -28 აპრილი-10 მაისი

ქართულ-ინგლისურ სკოლა „ბრიტანიკაში“, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, განხორციელდა სამეტაპიანი ეკოლოგიური პროექტი – **„დედამიწა ჩვენი სახლია“,** რომლის მიზანი იყო

ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, სკოლის გარემოს გაუმჯობესება და მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის წახალისება.

I ეტაპი – ეზოს მოწესრიგება და გალამაზება -პროექტის პირველ ეტაპზე თვითმმართველობის წევრებმა და მათმა თანაკლასელებმა ერთად იმუშავეს სკოლის ეზოს მოწესრიგებასა და გალამაზებაზე.

II ეტაპი – ეკომეგობრული ნამუშევრების შექმნა -პროექტის მეორე ეტაპზე ჩვენი სკოლის უმცროსკლასელებმა ხელმისაწვდომი და გადამუშავებადი მასალების (პლასტმასის ბოთლები, ხის ჩხირები და თიხის ქოთნები) გამოყენებით შექმნეს ეკომეგობრული ნამუშევრები. მოსწავლეებმა მოხატეს ქოთნები, გააცოცხლეს მეორადი ნივთები და დაამტკიცეს, რომ გარემოსდაცვა შეიძლება იყოს კრეატიული და სახალისო.

პარალელურად გაგრძელდა ეზოს შემდგომი გამწვანება და მოპირკეთება.

III ეტაპი – თემატური პოსტერები და დისკუსიები -პროექტის დასკვნითი ეტაპი დაეთმო თემატური პოსტერების შექმნასა და გარემოსდაცვით დისკუსიებს. მოსწავლეებმა წარმოადგინეს თავიანთი ხედვები ეკოლოგიური პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, რაც ხელს უწყობდა ეკოლოგიური პასუხისმგებლობის გააზრებასა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას.

დისკუსიის ფარგლებში ერთად ვიმსჯელეთ იმაზე, თუ რას ნიშნავს ეკოლოგიური პასუხისმგებლობა და რას უნდა აკეთებდეს თითოეული ჩვენგანი, რომ გადავარჩინოთ ჩვენი საერთო სახლი – დედამიწა.

პროექტში ჩართულნი იყვნენ როგორც უფროსკლასელები, ისე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები, რაც მიანიშნებს ასაკთაშორისი თანამშრომლობის წარმატებულ გამოცდილებაზე.

3.9 გასვლითი სპორტული ღონისძიება „ჯანსაღი ცხოვრების წესი ჩვენი არჩევანია“ – 7 მაისი

 ადგილმდებარეობა: კიკვიძის პარკი

 თარიღი: 7 მაისი, 2025

 დრო: 10:00 სთ

მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სპორტული კლუბის ორგანიზებით, ჩატარდა გასვლითი სპორტული დღე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და ხალისიანი ღონისძიება იყო სასწავლო წლის განმავლობაში.

 მოსწავლეები სპორტულ გარემოსა და საერთო ვიზუალურ სტილს ზედმიწევნით ემთხვევოდნენ — კლასების მიხედვით ეცვათ ერთი ფერის მაისურები და სპორტული შარვლები.

დღის განმავლობაში გაიმართა შემდეგი სპორტული აქტივობები:

- ფეხბურთის ჩემპიონატი
- ფრენბურთი
- კალათბურთი
- ჩოგბურთი
- ბადმინტონი

 სპორტულმა დღემ ხელი შეუწყო:

– ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას,

– ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციას,

– გუნდური უნარების განვითარებას .

 ღონისძიების მსვლელობისას დაფიქსირდა ერთი მცირე ინციდენტი – ერთ-ერთმა მოსწავლემ მიიღო დაზიანება ბარძაყის არეში. უსაფრთხოების წესების შესაბამისად ის გადაიყვანეს სამედიცინო დაწესებულებაში. მისი მდგომარეობა დასტაბილურდა.

3.10 წლის შემაჯამებელი გასვლა-19 ივნისი

19 ივნისს მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა შემაჯამებელი გასვლითი ღონისძიება, რომელიც წარმოადგენდა 2024-2025 სასწავლო წლის ტრადიციულად თბილ და ემოციურ შეჯამებას.

დღის პირველი ნაწილი დაეთმო ზედაზნის მონასტრის მონახულებას,შემდეგ კი გაიმართა პიკნიკი ბუნებაში.

4.შეჯამება

2024-2025 სასწავლო წელი მოსწავლეთა თვითმმართველობისთვის იყო გამოწვევებით სავსე, მრავალფეროვანი, ნაყოფიერი და ერთობლივი შრომის ნათელი მაგალითი. მთელი წლის განმავლობაში ჩვენ ვიმუშავეთ მოტივაციით, იდეებითა და სურვილით, რომ სკოლაში შეგვექმნა საინტერესო, ინოვაციური და მეგობრული გარემო, სადაც თითოეული მოსწავლე იგრძნობდა თავის

როლს და შესაძლებლობას.

თვითმმართველობის წევრებმა წამოიწყეს არაერთი პროექტი, რომელიც ემსახურებოდა როგორც სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას, ისე შემოქმედებითი, სპორტული, ეკოლოგიური და კულტურული ღირებულებების პოპულარიზაციას.

ჩვენი გუნდური ძალისხმევით ჩატარდა საგანმანათლებლო კვირეულები, ღია ჩემპიონატები,

შემოქმედებითი ღონისძიებები, ექსკურსიები და ა.შ.

წლევანდელი წელი განსაკუთრებული იყო იმითაც, რომ შეიქმნა სკოლის თვითმმართველობის ოფიციალური Facebook გვერდი, რომელიც საინფორმაციო პლატფორმად იქცა მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისთვის — სწორედ აქ ვაზიარებდით ჩვენს მიერ განხორციელებულ აქტივობებს, ფოტოებსა და პროექტებს.

თითოეულმა წევრმა თავისი ენერგია, უნარები და დრო ჩადო საერთო საქმისთვის, და სწორედ ამ ერთიანობამ მიგვიყვანა შედეგამდე: შედგა ურთიერთობა, გაძლიერდა ლიდერული უნარები, გაჩნდა ინიციატივები და რაც მთავარია — დავტოვეთ პატარა,მაგრამ მნიშვნელოვანი კვალის ჩვენი სკოლის ისტორიაში.

საგანგებოდ გვინდა გამოვხატოთ მადლიერება სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებელთა გუნდისა და მშობლების მიმართ იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში ვგვრძნობდით.

მიუხედავად სირთულეებისა, ჩვენ ვისწავლეთ, როგორ გადავწყვიტოთ პრობლემები, როგორ დავგეგმოთ პასუხისმგებლობით და როგორ ვიმუშაოთ გუნდურად. თითოეული გამოწვევა იქცა ახალ შესაძლებლობად.

მომავალი სასწავლო წლისთვის რჩება მიზანი – გავაგრძელოთ წინსვლა, გავზარდოთ ჩართულობა, ჩავატაროთ კიდევ უფრო ღირებული და მასშტაბური აქტივობები.

თვითმმართველობა იყო და რჩება სივრცედ, სადაც ახალგაზრდულ ენერგიას პასუხისმგებლობა ერწყმის, და იდეა – მოქმედებად გარდაიქმნება.

ანგარიში მოამზადა :
ბარბარე შავიშვილი
მოსწავლეთა თვითმმართველობის თავჯდომარე.